

# აფხაზურის, გაცხურის, უდიურის, ხუნძურისა და ჩეჩნურის ენობრივი დინამიკა საქართველოში: სოციოლინგვისტური ფაქტორების გავლენა

თეა გიგიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ელ-ფოსტა: [tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge](mailto:tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge)

ORCID: <https://orcid.org/0009-0001-5607-0396>

**აბსტრაქტი.** წინამდებარე სტატიაში შევეცდები, წარმოვადგინო საქართველოში გავრცელებული იბერიულ-კავკასიური, ანუ მთის კავკასიური ენების ფუნქციონირების რამდენიმე საკითხი:

- მათი გავრცელების არეალი;
- თაობათაშორის ენის გადაცემის მაჩვენებელი;
- მშობლიური ენის ფლობის დონე.

ნაშრომი ეფუძნება 2019-2024 წლებში ჩატარებულ საველე სოციოლინგვისტურ კვლევებს, რომლებიც მოიცავდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების — **აფხაზების, ჩეჩნების (ქისტების), ბაცბების/წოვა-თუშების, უდიებისა და ხუნძების** (კომპაქტურ და დისპერსიულ დასახლებებში) — ენობრივი მდგომარეობის შესწავლას და მათზე მოქმედ სოციალურ-ლინგვისტურ თუ დემოგრაფიულ ფაქტორებს. კვლევა ჩავატარე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: **აჭარაში** (აფხაზური თემი), **პანკისის ხეობაში** (ქისტური თემი), **ახმეტისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში** (უდიური, ბაცბური და ხუნძური თემები).

იუნესკოს **საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ატლასის** თანახმად, ის, რაც მეტ-ნაკლებად აერთიანებს ამ ენებს, არის მომავალში გაქრობის საფრთხე.

სოციოლინგვისტურ გამოკითხვებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა. კვლევა მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს: ანონიმურ ანკეტირებას, სტრუქტურირებულ ინტერვიუებს, დაკვირვებას, აუდიო-ვიდეო ჩანაწერებსა და ენათა კოდ-შერწყმის ანალიზს.

**საკვანძო სიტყვები:** საფრთხეში მყოფი ენა; ეთნიკური და ენობრივი თვითკუთვნილება; ეთნიკური უმცირესობის ენა; საოჯახო ენა.

\*\*\*

**შესავალი.** იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფიდან საქართველოში გავრცელებულია:

- **აფხაზური ენა** — (აფხაზურ-ადიღური, აფხაზურ-აბაზური ქვეჯგუფის ენა);
- **უდიური ენა** — (ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფის, ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფის ენა);
- **წოვა-თუშური ანუ ბაცბური** — (ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფის ენა);
- **ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი** — (ნახურ-დაღესტნურ ენათა ნახური ჯგუფის ვაინახური ქვეჯგუფის ენა);
- **ხუნძური (ავარული) ენა** — (დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიური ქვეჯგუფის ენა).

ცნება „**საფრთხეში მყოფი ენა**“ სოციოლინგვისტური ტერმინია და იმ ენასთან მიმართებით გამოიყენება, რომელიც კარგავს ბუნებრივი ენისათვის დამახასიათებელ არსებით თვისებებს – იგი აღარ არის სოციუმის წევრთათვის საკომუნიკაციო საშუალება; შესაბამისად, კლებულობს ენობრივი კომპეტენცია ამ ენის მატარებელ სოციუმის წევრებს შორის, ენა თაობიდან თაობას აღარ გადაეცემა და საბოლოოდ გაქრობის საშიშროება ემუქრება. ამ საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს როგორც ენა, ისე ამ ენის რომელიმე დიალექტიც. (<https://www.ethnologue.com/endangered-languages>, n.d.)

**§ 1. აფხაზური ენა — (აფხ. Аԥсуа бызшәа — „აფსუა ბჷშჷა“, ან მოკლედ აფხ. Аԥсәа — „აფსჷა“) — იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღური ჯგუფის აფხაზურ-აბაზური ქვეჯგუფის ენაა.**

აფხაზური ენა იუნესკო-ს გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ენების სიაშია შეტანილი.

აფხაზურ ენაზე ლაპარაკობენ საქართველოსა (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) და თურქეთში. აფხაზური „ენის კუნძულად“ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ტერიტორიაზე აჭარის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტსა და ასევე სირიაში არსებული რამდენიმე აფხაზურენოვანი დასახლებული პუნქტი. (მაჭავარიანი, 2017)

აფხაზები კომპაქტურად ცხოვრობენ ბათუმის რამდენიმე უბანში — ანგისა, გარადოკი, ასევე მის შემოგარენში მდებარე სოფლებში: ფერია, სალიბაური, ერგე, ურეხი, ადლია, ჩელტა და სხვ. აფხაზები დისპერსიულად სახლობენ გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში, ჩაქვში, ციხისძირში.

2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოში 3 527 აფხაზი ცხოვრობდა, რაც მთლიანი მოსახლეობის 0.1%-ს შეადგენდა (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), ხოლო 2014 წლის აღწერით — 864. (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, 2014)

2019-2020 წლებში ჩავატარე სოციოლინგვისტური გამოკითხვა აჭარაში, აფხაზებით დასახლებულ სოფლებსა და ბათუმის შემოგარენში. კვლევის შედეგების ანალიზი ასეთია:

გამოკითხული 150 რესპონდენტიდან აფხაზურ ენას თავისუფლად ფლობს მხოლოდ 4%, საშუალო დონეზე ფლობს — 10%, ცუდად — 16% და საერთოდ ვერ ფლობს — 70%.

აფხაზურ ენაზე ოჯახში მხოლოდ 4% საუბრობს, ქართულ და აფხაზურ ენებზე — 6%, 2% — რუსულ ენაზე, 88% — ქართულ ენაზე.

150 რესპონდენტიდან 2% იყენებს მშობლიურ - აფხაზურ ენას - სასაუბროდ თემში ან უბანში, 94% — ქართულ ენას, ხოლო 4% — რუსულს ან თურქულს (რიგ შემთხვევაში, ტურისტებთან, — ინგლისურს).

ამჟამად აფხაზურ ენაზე წერა-კითხვას ასწავლიან ფერიის საჯარო სკოლასა და ბათუმის მეთოთხმეტე საჯარო სკოლაში.

**§ 2. ქისტური წარმოადგენს ნარევ დიალექტს ჩეჩნური ენის დიალექტებისა და კილოკავებისა.** შესაბამისად, იგი განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ვაინახურ ქვეჯგუფს. ქისტები ძირითადად საქართველოში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, პანკისის ხეობის სოფლებში სახლობენ. პანკისის ხეობაში ამჟამად ჩეჩნებით/ქისტებით კომპაქტურად დასახლებული სოფლებია: დუმასტური, ომალო, ჯოყოლო, ბირკიანი, ხალაწანი (ქვემო, შუა და ზემო), წინუბანი, ძიბახევი, ყვარელწყალი. ქისტები ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სოფელ ქორეთშიც. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოში ცხოვრობდა 5 697 ქისტი, რაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 0.15%-ს წარმოადგენს. (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, 2014)

პანკისელმა ქისტებმა დღემდე შემოინახეს მშობლიური ენა. ისინი ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტზე მეტყველებენ, თუმცა ქართული ენის გავლენის შედეგად მათმა ენამ ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური ცვლილებები განიცადა. მათ ლექსიკაში ბევრი ქართული სიტყვაა დამკვიდრებული. (ფარეულიძე, 2011)

2023 წლის ოქტომბერში სოციოლინგვისტური გამოკვლევის სამიზნე პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელი - ომალო, ჯოყოლო, ბირკიანი და ხალაწანი იყო. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 150 რესპონდენტმა. ანკეტირება ანონიმური იყო.

ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტს თავისუფლად ფლობს გამოკითხულთა 100%. ოჯახში საუბრის ენა 82%-ისთვის მხოლოდ ჩეჩნურია, 10% საუბრობს ქართულ და ჩეჩნურ ენებზე, 6% ქართულ ენას გამოიყენებს, 2% - რუსულ ენას.

პანკისის ჩეჩენი მოსახლეობა ბილინგვალა, ისინი თავისუფლად ფლობენ ქართულ და ჩეჩნურ ენებს. სავარაუდოდ ის 2%, რომელიც ოჯახში სასაუბრო ენად იყენებს რუსულს, ჩეჩნეთიდან პანკისში ახალჩამოსახლებულთა რიცხვს განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ჩეჩნური მოსახლეობა ქართულ ენაზე იღებს სკოლაში განათლებას, ყოველი მათგანი თავისუფლად ფლობს მშობლიურ ენას.

ქისტური მეტყველება ფუნქციონირებს ნახური ენებისაგან იზოლირებულად — უშუალო კონტაქტის გარეშე. შესაბამისად, იგი განვითარდა ქართული ენის ძლიერი ზეგავლენის პირობებში. განსაკუთრებული ინტენსივობით ეს გავლენა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან შეინიშნება, როცა ქისტურ სოფლებში გაიხსნა ქართული სკოლები, ბიბლიოთეკები, გავრცელდა ქართული პერიოდული გამოცემები, ამუშავდა რადიო და ტელევიზია. ამან ხელი შეუწყო ორენოვნების ჩამოყალიბებას ქისტურ საზოგადოებაში.

პანკისელი ქისტები განათლებას ქართულად იღებენ და ქართული მათთვის მეორე მშობლიურ ენად იქცა.

**§ 3. წოვა-თუშები, იგივე ბაცბები** ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცნობიერებაში თავს ქართულ ეთნოსს მიაკუთვნებენ, თუმცა მათი სამეტყველო ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ვაინახურ ქვეჯგუფს განეკუთვნება. ისინი ისტორიულად სახლობდნენ თუშეთის ტერიტორიაზე. მოგვიანებით, თუშების მსგავსად, მოხდა მათი ჩამოსახლება ბარში, სოფელ ზემო ალვანის ტერიტორიაზე. წოვა-თუშური (ბაცბური) ენა იუნესკომ გაქრობის აშკარა საფრთხის წინაშე მდგომ ენათა სიაში შეიტანა.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, სოფელ ზემო ალვანში რეგისტრირებულია 3 306 მცხოვრები. UNESCO-ს 2010 წლის მონაცემებით, წოვა-თუშურ (ბაცბურ) ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობა დაახლოებით 500 ადამიანს შეადგენდა. თუმცა, 2022 წელს ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარებული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ ენაზე აქტიურად მოსაუბრეების რაოდენობა შემცირებულია და დაახლოებით 300–400 ადამიანს შეადგენს. აღნიშნული კლების ერთ-ერთ განმარტებულ ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს მიგრაციული პროცესების გაძლიერება, რომლის მაჩვენებელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით მაღალია სოფელში.

წოვათუშური მოსახლეობა ბილინგვურ გარემოში ფუნქციონირებს. ზემო ალვანში ფართოდ არის გავრცელებული შერეული ოჯახები, რის გამოც სოფელში მცხოვრები 3 306 ადამიანიდან ბაცბური ყველასთვის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. ამასთან, ბაცბურ ენაზე მოსაუბრეების მნიშვნელოვანი ნაწილი 50 წელს გადაცილებულ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, რაც ენის თაობათა-მორისი გადაცემის შესუსტებაზე მიუთითებს.

სოციოლინგვისტური კვლევა სოფელ ზემო ალვანში ვაწარმოე 2022 წლის შემოდგომაზე. კვლევის შედეგები თითქმის ემთხვევა უდიდებით დასახლებული სოფელი ზინობიანის მოსახლეობის კვლევის შედეგებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა უმეტესობა მშობლიურ ენად ასახელებს ქართულ ენას. ეს განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: წოვა-თუშები საკუთარ თავს ეთნიკურად ქართველებად მიიჩნევენ; ზემო ალვანში შერეული (ქართულ-ბაცბური) ოჯახებია, რომელთა უმეტესობა შინ თუ გარეთ სასაუბრო ენად ქართულს იყენებს.

თუშების (ბაცბების) მენტალიტეტი ღღეს ქართულია, ისინი თავს ქართველებად თვლიან და მათი ვაინახობა მხოლოდ ისტორიულად თუ განიხილება. მაგრამ მეცნიერულად თუშების ვაინახურ წარმომავლობას გვერდს ვერ ავუვლით. თვითონ თუშებიც განასხვავებენ წოვა-თუშებს და ჩადმა-თუშებს, რაც არანაირ გაუგებრობას და დაპირისპირებას არ ქმნის მათ შორის.

რესპონდენტთა ნაწილმა მშობლიურ ენად დააფიქსირა ქართული, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ენას თავისუფლად ფლობს გამოკითხულთა 100%. ხოლო იმ რეს-

პონდენტთა 10%, რომელთა მშობლიურ ენად სახელდება ბაცბური ენა, თავისუფლად ფლობს ამ ენას, საშუალო დონეზე — 16%, ცუდად — 24%, საერთოდ ვერ ფლობს 50% (უმეტესად ახალგაზრდები, 30 წლის ქვემოთ).

გამოკითხულთა 76% ოჯახში სასაუბროდ იყენებს ქართულ ენას, 10% - ბაცბურს (უმეტესად უფროსი ასაკის ადამიანები), ხოლო შერეულად, ქართულ-ბაცბურ ენაზე — 14%.

კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 80% თემში, უბანსა და სოფელში სასაუბროდ იყენებს მხოლოდ ქართულ ენას, 12% ქართულ და ბაცბურ ენაზე საუბრობს (მათივე საუბრიდან ირკვევა, რომ ბაცბურს მისალმება-დამშვიდობებისა თუ მოკითხვისთვის იყენებენ, შემდეგ ისევ ქართულ ენაზე გადადიან) და 8% — ბაცბურად. ეს 8% 60 წელს გადაცილებული რესპონდენტები იყვნენ.

ზემო აღვანის საჯარო სკოლა ქართულენოვანია. ბაცბური/წოვათუშური ენა სკოლაში არ ისწავლება. თანამედროვე ვითარებაში წოვა-თუშური (ბაცბური) ენა სერიოზული ენობრივი რისკის წინაშე დგას და მის არსებობას რეალური საფრთხე ემუქრება. თაობათაშორისი ენობრივი გადაცემის შესუსტების ფონზე, ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნულ ენას ვერ ფლობს ან შეზღუდულად იყენებს, რაც ენის ფუნქციური გავრცელებისა და სიცოცხლისუნარიანობის შემცირებაზე მიუთითებს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბაცბური ენის რეცესიის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. ენის გამოყენების არეალის შევიწროება და სოციალური ფუნქციების შემცირება ქმნის ამ ენის განღვეადობისა და გაქრობის საფრთხეს.

**§ 4. უდიური ენა** გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი უნიკალური ენაა, რომელსაც მიიჩნევენ ალბანური ენის მემკვიდრედ. უდიური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფს, აქვს ორი დიალექტი: ვართამნული და ნიჯური.

უდიები მსოფლიოს ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ერია. მათი საერთო რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით 15 000-მდეა. სწორედ ეს მცირერიცხოვნება განაპირობებს უდი ხალხის ასიმილირების საფრთხეს სხვა ხალხებთან და უდიური ენის გაქრობის საშიშროებას.

საქართველოში უდიები კომპაქტურად სახლობენ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში. აქ უდიები გადმოსახლდნენ 1920-1922 წლებში სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გამო. (ბიბლიოთეკა, 2008)

2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 203 უდი ცხოვრობდა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ყვარლის რაიონის სოფ. ზინობიანშია დასახლებული, ხოლო 174 უდი აღირიცხებოდა 2014 წლის აღწერით.

2023 წლის ოქტომბერში ვაწარმოე სოციოლინგვისტური გამოკვლევა სოფ. ზინობიანში. რესპონდენტთა უმეტესობამ მშობლიურ ენად დაასახელა ქართული ენა, მსგავსად წოვა-თუშებისა.

უდიურ ენაზე მოსაუბრეთა ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს თაობათაშორის ენის გამოყენების დისბალანსს. ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, ახალგაზრდა თაობა უდიურ ენას ყოველდღიური კომუნიკაციისას თითქმის არ იყენებს, რაც ენის ვიტალიურობას საგრძნობლად ასუსტებს და მისი გაქრობის რისკს ზრდის.

გამოკითხულთა 80% თემში სასაუბროდ იყენებს ქართულ ენას, 14% იყენებს ქართულ და უდიურ ენებს, მხოლოდ 6% საუბრობს უდიურ ენაზე, ძირითადად შუა ხნის ასაკს გადაცილებულნი და ხანდაზმულები.

სოფ. ზინობიანში უკვე მრავლადაა შერეული, ქართულ-უდიური ოჯახები, ასეთი ოჯახების უმეტეს ნაწილში ქართულად საუბრობენ. სოფლის მოსახლეობის ნაწილი ბილინგვალია. გამოკითხულთა 80% ოჯახში სასაუბრო ენად იყენებს ქართულს, უდიურ ენაზე საუბრობს 10%, ხოლო შერეულად, ქართულ-უდიურად — 10%. აქაც უდიურ ენაზე მოსაუბრეთა საშუალო ასაკი განისაზღვრება 50 წლის ზემოთ.

2015 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, უდიური ენა ისწავლება დაწყებით კლასებშიც სოფ. ზინობიანში, სადაც ანბანი (ქართული დამწერლობის საფუძველზე) და ენის შემსწავლელი სახელმძღვანელო შეადგინა ადგილობრივმა უდიამ მამული ნეშუმაშვილმა.

დღესდღეობით უდიურ ენას, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში, გაქრობა ემუქრება. ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი ამ ენაზე არ/ვერ საუბრობს. უდიური ენის სოციალური სტატუსი საგრძნობლადაა შესუსტებული. უმეტეს შემთხვევაში ამ ენას აქვს **საოჯახო ენის სტატუსი** და ყველა დანარჩენ შემთხვევაში ქართული ენა დომინანტობს: სწავლა-განათლების, ტელე-რადიო მაუწყებლობის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალურ საქმისწარმოებასა თუ სამართალწარმოებაში. უდიური ენის მატარებელთა რიცხვი საგრძნობლად მცირეა სახელმწიფოს საერთო მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში.

ჩემ მიერ ჩატარებული 2023 წლის სოციოლინგვისტური კვლევის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თაობათა შორის გადაცემის ფაქტორი ყველაზე ცუდად მოქმედებს უდიური ენის ვიტალურობის მაჩვენებელზე.

**§ 5. ხუნძები (იგივე ავარები) (ხუნდ. marlapyal, მარულალ) —** დაღესტნის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია. ისინი ძირითადად ცხოვრობენ დაღესტნის მთიანეთში, აგრეთვე აზერბაიჯანში (მეტწილად ბელაქნის, ზაქათალის რაიონებსა და ბაქოში). ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიასპორა ხუნძებს აქვთ თურქეთში. მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 1 მილიონამდე არიან. (Б., 2023)

ხუნძების მცირე ჯგუფები კომპაქტურად სახლობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში — **სოფ. თივში, სოფ. ჩანტლისყურესა და სოფ. შოროხში (სარუსო-ში)**, (ისინი ანწუხისა და კაპუჭის თავისუფალ მეთემეთა შთამომავალნი არიან). 2014 წლის აღწერით, საქართველოში სულ 954 ხუნდი იყო აღრიცხული.

2023 წლის ოქტომბერში ვაწარმოე სოციოლინგვისტური გამოკითხვა კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ხუნძები (ავარები).

ხუნძებით დასახლებულ სკოლებში XX მე-2 ნახევარში რამდენჯერმე შეიცვალა სწავლების ენა: თავდაპირველად რუსული იყო, შემდეგ ქართულად გადაკეთდა, მერე ისევ — რუსულად. ამჟამად სკოლებში ქართულად სწავლობენ, მაგრამ 2015-2016 სასწავლო წლიდან შეისწავლიან მშობლიურ ენასაც კვირაში 3 საათით. შესაბამისად, ახალგაზრდები თავისუფლად ფლობენ ქართულ ენას, უფროს თაობას 35 წლის ზემოთ კი პირიქით - უჭირთ ქართულად საუბარი, ხოლო 50 წლის ზემოთ რესპონდენტები თითქმის ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას.

კვლევის შედეგები ასე გადანაწილდა: გამოკითხულთა 88% თავისუფლად ფლობს მშობლიურ ენას, საშუალო დონეზე — 12%. სოციოლინგვისტურ გამოკითხვებში ჩავრთე 14 -18 წლის სკოლის მოსწავლეებიც. ისინი ყოველდღიურ საუბარში ქართულს იყენებენ, მშობლიურ ენაზე მხოლოდ ოჯახებში საუბრობენ და ეს 12% სწორედ მათი გამოკითხვის სტატისტიკური მაჩვენებელია. შედეგად, ახალგაზრდებში მშობლიური ენის ფლობის დონე შესუსტებულია.

გამოკითხულთა 80% თემში, უბანში, სოფელში სასაუბრო ენად იყენებს მშობლიურ ენას, 16% — ქართულ და ხუნძურ ენებზე, 4% — ქართულ ენაზე. გამოკითხულთა 100% ოჯახში სასაუბრო ენად იყენებს მშობლიურ ენას.

ერთი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა ხუნძებით დასახლებულ თემში. მართალია, თივსა და ჩანტლისყურეში ისწავლება მშობლიური, ხუნძური ენა, მაგრამ სალიტერატურო ხუნძური და მათი სასაუბრო ენები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

როგორც სოციოლინგვისტურმა კვლევამ აჩვენა, ხუნძურ ენას ძირითადად აქვს საოჯახო ენის სტატუსი. ქართული ენა დომინანტობს: სწავლა-განათლების, ტელე-რადიო მაუწყებლობის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალურ საქმისწარმოებასა თუ სამართალწარმოებაში.

**დასკვნები.** წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში გავრცელებული მთის იბერიულ-კავკასიური ენების — აფხაზურის, ჩეჩნურის (ქისტურის), წოვა-თუშურის (ბაცბურის), უდიურისა და ხუნძურის — ენობრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა მათ შორის იკვეთება საერთო ტენდენციებიც, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივ ვიტალურობასთან, ორენოვნებასთან და ასიმილაციურ პროცესებთან.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ენების სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს ისეთი ფაქტორების ერთობლიობა, როგორიცაა ენის თაობათაშორისი გადაცემის უწყვეტობა, ენის პრესტიჟულობა (მშობლიური ენის მატარებელთა შორის) და დემოგრაფიული მაჩვენებლები. UNESCO-ს კრიტერიუმების შესაბამისად, ენის პრესტიჟულობის შემცირება და თაობათაშორისი გადაცემის რღვევა კრიტიკულ საფრთხედ ითვლება ენის შენარჩუნების თვალსაზრისით.

კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მაღალი ენობრივი მდგრადობა ჩეჩნურ (ქისტურ დიალექტურ) მეტყველებას ახასიათებს. პანკისის ხეობაში ქისტურმა ენამ შეინარჩუნა როგორც საოჯახო, ისე ყოველდღიური კომუნიკაციის ფუნქცია, რაც უზრუნველყოფს მის თაობათაშორის გადაცემას. მიუხედავად ძლიერი ქართული ენობრივი გარემოსი, ქისტურ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მდგრადი ბილინგვიზმი.

ხუნძური ენის მდგომარეობა შედარებით სტაბილურია, თუმცა კვლევა ცხადყოფს ასაკობრივ დისბალანსს. უფროსი თაობა აქტიურად იყენებს მშობლიურ ენას, მაშინ, როცა ახალგაზრდებში მისი ფუნქციური გამოყენება შემცირებულია და ძირითადად ოჯახური კომუნიკაციით შემოიფარგლება. ამავდროულად, ქართულ ენაზე განათლების მიღებამ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობამ მნიშვნელოვნად გააძლიერა სახელმწიფო ენის პოზიცია.

განსხვავებული ვითარება იკვეთება წოვა-თუშური (ბაცბური) და უდიური ენების შემთხვევაში. ორივე ენა იუნესკოს კლასიფიკაციით გაქრობის სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნულ ენებში თაობათაშორისი გადაცემის პროცესი მნიშვნელოვნად შესუსტებულია. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ან საერთოდ ვერ ფლობს მშობლიურ ენას, ან იყენებს მას მხოლოდ მეზღუდულ სოციალურ კონტექსტებში. შერეული ოჯახების ზრდა, მიგრაციული პროცესები და ქართული ენის დომინანტური სტატუსი ხელს უწყობს ამ ენების ფუნქციური არეალის შემცირებასა და მათ ეტაპობრივ რეცესიას.

სოციოლინგვისტური გამოკითხვების შედეგების მიხედვით, აფხაზური, ბაცბური და ხუნძური ენების ვიტალურობა საგრძნობლად შესუსტებულია. აფხაზური ენის მდგომარეობა საქართველოში განსაკუთრებით კრიტიკულია. აფხაზური ენის პრესტიჟულობის დაქვეითება აჩქარებს მისი ფუნქციური სივრცის შემცირებასა და ენობრივ ასიმილაციას. ბაცბური და ხუნძური ენები — თაობათაშორისი გადაცემის სირთულეების, დემოგრაფიული კლებისა და შერეული ქორწინებების ფონზე, კრიტიკულად საშიშ მდგომარეობაში არიან. ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტის შემთხვევაში აღინიშნება სოციოლინგვისტური ბალანსი ქართულთან, სადაც ჩეჩნური ენა დომინირებს ოჯახსა და თემში, ხოლო ქართული — საჯარო სივრცეში. ჩეჩნური ენა აღიქმება ეთნიკური იდენტობის მთავარ ელემენტად, ხოლო ქართული — სოციალური წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობად.

ამრიგად, წარმოდგენილი კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში მთის იბერიულ-კავკასიური ენების სიცოცხლისუნარიანობა არაერთგვაროვანია: ქისტური და ნაწილობრივ ხუნძური მეტყველება შედარებით მდგრადია, მაშინ, როდესაც წოვა-თუშური, უდიური და განსაკუთრებით აფხაზური ენები სერიოზული ენობრივი საფრთხის წინაშე დგანან. აღნიშნული ვითარება საჭიროებს მიზნობრივ ენობრივ პოლიტიკას, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კულტურული ინიციატივების გაძლიერებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ენების შენარჩუნება და თაობათაშორისი გადაცემა.

## Bibliography

(n.d.). Retrieved from <https://www.ethnologue.com/endangered-languages>.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. (2014). Retrieved from <http://pop-stat.mashke.org/georgia-ethnic-loc2014.htm>.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. (2014). Retrieved from <http://pop-stat.mashke.org/georgia-ethnic-loc2014.htm>.

Б., А. (2023). *Языки и Диалекты Дагестана: социолингвистический аспект*. Махачкала: ИЯЛИ ДФИЦ РАН; Издательство АЛЕФ.

ბიბლიოთეკა, ს. ს. (2008). *ეთნოსები საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

მაჭავარიანი, ნ. (2017). *აფხაზური ენის გრამატიკის საკითხები, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების გათვალისწინებით*. თბილისი: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ფარეულიძე, რ. (2011). *ჩეჩნური ენა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.